საგადასახადო დავალება №34

27.04. 2016 წ.

გადამხდელის დასახელება: -- ცხამის საჯარო სკოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| საიდენტიფიკაციო კოდი | 239402829 | ანგარიში (დებეტი) | 121126421140000 |

გადამხდელი ბანკი – ს.ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი 220101467

მიმღების დასახელება"ი/მ ირაკლი გაგნიძე

| | | | |
|---|---|---|---|
| საიდენტიფიკაციო კოდი | 205254892 | ანგარიში (კრედიტი) | GE17BG0000000817232100 |

მიმღები ბანკი: სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი

საბ. შემო. სახაზინო კოდი

გადახდის დანიშნულება–ირიცხება ცარცის ღირებულება დამატებითი ინფორმაცია

თანხა 20

ოცი ლარი

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებული ბანკის მიერ:

ხელმოწერა:

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი – /გ.გულიაშვილი/

ბუღალტერი: /ზ.გულიაშვილი/ ბ.ა.

# მიღება-ჩაბარების აქტი

**26.04.2016 წელი**

ერთის მხრივ ირაკლი გაგნიძე ს/კ ნომერი 205254892 და მეორე მხრივ სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლის დირექტორის გიორგი გულიაშვილის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მხარეების მიერ შესრულებულია 2016 წლის 21 აპრილის #8 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. რომლის ღირებულებაც შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

გიორგი გულიაშვილი

-----------------------------------

ირაკლი გაგნიძე

--------------------------

კორექტირების თარიღი: 27/04/2016 17:02:39

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0234661744 |
|---|---|---|

| 2 | 27/04/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 17:01:16 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ბიბლუსი | 205254892 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლა | 239402829 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | საჩხერე თავისუფლების ქუჩა #9 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | საჩხერე, სოფ ცხამი |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | ხელით გადაზიდვა |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1037 თეთრი ცარცი | 1037 | ცალი | 8.0000 | 1.0000 | 8.0000 |
| 2 | 100314 ცარცი Dolphin 00560 | 100314 | ცალი | 8.0000 | 1.4500 | 11.6000 |
| 3 | EP01-0526 ბურთულიანი კალამი 0,5მმ PONTO 64005 640029 50ც | EP01-0526 | ცალი | 1.0000 | 0.4000 | 0.4000 |

| 13 | 20 - ოცი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 27/04/2016 | 17:03:18 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 13/05/2016, 10:44:38

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ №08

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 21.04.2016 წელი

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომ-ხელშეკრულება'') - ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ''დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებასი არის მინიშნებები.

1.2 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ-შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას დაწესებულებას რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.5 ,,დღე',,კვირა'' ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს,თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2.ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ ცხამის საჯარო სკოლის დირექტორს გიორგი გულიაშვილს და მეორეს მხრივ ინდ მეწარმე ირაკლი გაგნიძე ,,მიმწოდებელი'' შორის სხვადასხვა საქონლის ,,შესყიდვის შესახებ ''

საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე;

3.ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, ცხამის საჯარო სკოლისათვის სხვადასხვა საქონლის შესყიდვა.

4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქაღველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

| # | CPV | საქონლის დასახელება | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის მოცულობა ან რაოდენობა | ფასი | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 44922100 | ცარცი | შეკვრა | 2 | 10 | 20 |

სულ ჯამი: 20 ლარი

## 5. მხარეების უფლებები და მოვალეობები

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
5.1.1 პერიოდულად შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
5.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;
5.2.2 უზრუნველყოს საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
5.2.3 ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულების დანართში აღნიშნული ფასების შესაბამისად;
5.2.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.
5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
5.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
5.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებულ საქონლის ინსპექტირების პროცესში.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.4.2 საქონლის მიწოდება შემსყიდველზე უზრუნველყოს მისი მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღის ვადაში;
5.4.3 ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში, საქონლის მიწოდებაზე სასაქონლო ზედნადების ამოწერა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა.
5.4.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
5.4.5 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული საქონლის შესახებ;
5.4.6 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

## 6.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში .
6.2 საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე საჩხერე
6.3 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება -ჩაბარების '' აქტის გაფორმების შემდეგ
6.4შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ცხამის საჯარო სკოლის დირექტორს გიორგი გულიაშვილს

## 7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული კონტროლი.
7.2 ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.
7.3 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ისპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8.მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას , რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს)და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.(გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

## 9.ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 10.ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ღირებულებით პარამეტრს.
10.2ხელშეკრულების ღირებულებითი შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ არნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%.

## 11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12.უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13.სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

## 14.ფორს–მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15.მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

15.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
15.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
15.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
15.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულებების 0.15 პროცენტის ოდენობით
15.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება

## 16.ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 17.დავების გადაწყვეტის წესი

17.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ , რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკეების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან ამსთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეტანხმებას , ნებისმიერ მხარეს , დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18.სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

18.2ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2(ორ) ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 19.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლა

მის: სოფელი ცხამი

მომსახურე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი ს/კ 239402829

მომსახურე ბანკის დასახელება: სს,, ლიბერთი ბანკის საჩხერის ფილიალი"

ბანკის კოდი: ბ/კ LBRTGE 22

ა/ნ GE45LB121126421140000

---------------------

გიორგი გულიაშვილი
საჩხერის მუნიციპალიტეტის
სოფელ ცხამის საჯარო სკოლის
დირექტორი

შ.პ.ს ,,ბიბლუსი"

ს/კ 205254892

ს.ს საქართველოს ბანკი

ანგარიშის ნომერი: GE17BG0000000817232100

---------------------

ირაკლი გაგნიძე